საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტები

2018

წლის შედეგები

30.07.2019

www.geostat.ge

30.07.2019

ინფორმაცია ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის შესახებ

(2018 წლის შედეგები)

2018 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 206 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 32,0 პროცენტი ქ. თბილისშია, ხოლო 19,9 პროცენტი - იმერეთის, 12,1 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის, 12,1 პროცენტი - კახეთის, 7,3 პროცენტი - ქვემო ქართლის, 4,9 პროცენტი - აჭარის, 4,4 პროცენტი - შიდა ქართლის, 2,9 პროცენტი - სამცხე-ჯავახეთის, 1,5 პროცენტი - გურიის, 1,9 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის და 1,0 პროცენტი - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონებშია განთავსებული.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობას და მათ პროცენტულ განაწილებას საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2017-2018 წლებში.

ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და მათი პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2017-2018 წლებში

	ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)		პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით (%)	
	2017 წელი	2018 წელი	2017 წელი	2018 წელი
საქართველო	207	206	100,0	100,0
მათ შორის:				
ქ. თბილისი	63	66	30,4	32,0
აჭარის ა.რ.	10	10	4,8	4,9
გურია	3	3	1,5	1,5
იმერეთი	43	41	20,8	19,9
კახეთი	25	25	12,1	12,1
მცხეთა-მთიანეთი	4	4	1,9	1,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	2	1,0	1,0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	25	25	12,1	12,1
სამცხე-ჯავახეთი	7	6	3,4	2,9
ქვემო ქართლი	16	15	7,7	7,3
შიდა ქართლი	9	9	4,3	4,4

ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის წილად მოდის 2018 წელს მოქმედი ბაზრობების საერთო რაოდენობის

78,1 პროცენტი, ინდივიდუალური მეწარმეების წილად კი - 19,4 პროცენტი. ბაზრობების დანარჩენ ნაწილს გააჩნია კოოპერატივის (1,0 პროცენტი), სააქციო საზოგადოების (1,0 პროცენტი) და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0,5 პროცენტი) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ბაზრობების 96,6 პროცენტი კერძო საკუთრებაშია, ხოლო 3,4 პროცენტი - სახელმწიფო საკუთრებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2018 წელს მოქმედი ბაზრების და ბაზრობების განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით რეგიონულ ჭრილში:

ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, 2018 წელს

	სულ	მათ შორის				
		შ.პ.ს.	კოოპერატივი	ს.ს.	ს.პ.ს.	ი.მ.
საქართველო	206	161	2	2	1	40
მათ შორის:						
ქ. თბილისი	66	62	-	1	-	3
აჭარის ა.რ.	10	9	-	1	-	-
გურია	3	2	-	-	-	1
იმერეთი	41	32	-	-	-	9
კახეთი	25	14	-	-	-	11
მცხეთა-მთიანეთი	4	1	-	-	-	3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	1	-	-	-	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	25	16	-	-	1	8
სამცხე-ჯავახეთი	6	4	-	-	-	2
ქვემო ქართლი	15	13	1	-	-	1
შიდა ქართლი	9	7	1	-	-	1

2018 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრები, ბაზრობები და ბაზრობის ტიპის საწარმოები განთავსებული იყო 2,0 მლნ. კვადრატულ მეტრ ფართობზე. ამ ტერიტორიაზე განლაგებული დახლების სიგრძე 52,7 ათასი მეტრია, რომელთა 64,8 პროცენტი შენობაშია განთავსებული. ბაზრობებს გააჩნია 75 ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორია, 1322 - შემნახველი საკანი (საწყობი) 27,4 ათასი კვ. მეტრი ფართობით, 0,8 ათასი ტონის ტევადობის - 447 მაცივარი.

2018 წელს მოქმედი ბაზრობების 35,9 პროცენტი გადახურულია (ვაჭრობა შენობაში მიმდინარეობს), 34,0 პროცენტი ღია ტიპისაა (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობის გარეთ), 30,1 პროცენტი - ნახევრადგადახურულია (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობაშიც და შენობის გარეთაც).

2018 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ხორციელდება როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლით ვაჭრობა. ბაზრობების 31,6 პროცენტი ვაჭრობს მხოლოდ არასასურსათო საქონლით, ერთ-ერთ ბაზრობაზე

მიმდინარეობს მხოლოდ სასურსათო საქონლით ვაჭრობა; სამი ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობა მიმდინარეობს ავტომობილებითაც, ხოლო ხუთ ბაზარში იყიდება როგორც ფრინველი, ისე პირუტყვი.

საქართველოს ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობა ორგანიზებულია კვირის სხვადასხვა დღეს: ყოველდღიური ვაჭრობა მიმდინარეობს 160 ბაზარში, საკვირაო ვაჭრობა - 19 ბაზარში, კვირა დღის გარდა ვაჭრობს 3 ბაზარი, დანარჩენი ბაზრობის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ერთდღიანი, ორი ან სამდღიანი ვაჭრობა კვირის სხვადასხვა დღეებში.

საქართველოში მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე 55,5 ათასი სავაჭრო ადგილია, სადაც საშუალოდ ერთ დღეში 43,2 ათასი კაცი ვაჭრობს.

მოქმედ ბაზრებსა და ბაზრობებში სავაჭრო ადგილებს და მოვაჭრეთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით, ასახავს შემდეგი დიაგრამა:

სავაჭრო ადგილების და მოვაჭრეთა რაოდენობა



2018 წელს ბაზრობების ორგანიზებით დაკავებულ საწარმოებში (ბაზრობების დირექციებში) დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3,1 ათას კაცს შეადგენდა, რომელთაგან 33,6 პროცენტი ქალია. დასაქმებულთა 45,7 პროცენტი ქალაქ თბილისზე მოდის, დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება.

2018 წელს ბაზრების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების შემოსავლებმა 158,6 მლნ. ლარი შეადგინა. ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობის უფლებისათვის (ერთჯერადი გადასახდელის სახით) გადახდილია 49,2 მლნ. ლარი, რაც ბაზრობების დირექციების შემოსავლების 31,0 პროცენტს შეადგენს. 59,6 პროცენტს შეადგენს შემოსავლები სავაჭრო ფართის გაქირავებიდან, ხოლო 9,4 პროცენტი - სხვა სახის შემოსავლებს მიეკუთვნება. 2018 წელს ბაზრობის ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დანახარჯებმა 100,6 მლნ. ლარი შეადგინა, აქედან შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე 27,7 მლნ. ლარია.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge